ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის

სხდომის ოქმი N1

24 სექტემბერი, 2015 წელი ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ფავლენიშვილი

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე - რამინა ბერაძე;

კომისიის წევრები

დავით უთმელიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები“ წევრი;

ზაზა ვეკუა - ფრაქციის „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ თავმჯდომარე;

იოსებ მანჯავიძე - საკრებულოს წევრი;

ვლადიმერ ძნელაძე- ფრაქცია „ქართული ოცნება მრეწველები“;

გოჩა ბაბუნაშვილი - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

თევდორე კობახიძე - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

შორენა ბუხრაშვილი - გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

ლია ჯახველაძე - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

ელენე დუმბაძე - აპარტის უფროსი;

ელეონორა კაპანაძე - აპარატის უფროსის მოადგილე;

კახაბერ ლაბუჩიძე - აპარატის უფროსის მოადგილე;

შალვა ლომსაძე - იურიდიული განყოფილების უფროსი;

ნუგზარ ჭინჭარაული - საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი;

ვლადიმერ ბოჟაძე - არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიული განვითარების ცენტრი“ დირექტორი.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარემ - ირაკლი ფავლენიშვილმა კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმის განსაზღვრა;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის მე-2 ეტაპის - ტესტირებისა და მე-3 ეტაპის გასაუბრების აუცილებელ მინიმალური ზღვრული ოდენობის განსაზღვრა;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა;
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში გამოცხადებული კონკურსის ტესტირების ეტაპის მონაწილეთა შედეგების გათვალისწინების შესახებ.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრებმა ერთხმად მოიწონეს დღის წესრიგი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო კომისიის გადაწყვეტილების პროექტი.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმების დადგენის თაობაზე დანართის შესაბამისად. საკითხი შესათანხმებლად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება. კერძოდ, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის მე-2 ეტაპის - ტესტირებისა და მე-3 ეტაპის - გასაუბრების აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრული ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გადაწყვიტეს, რომ კონკურსის მე-2 ეტაპის - ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს კანდიდატის მიერგაცემული სწორი პასუხების 66,5%-ით, ანუ 60 კითხვიდან არანაკლებ 40 სწორი პასუხისა, ხოლო კონკურსის მე-3 - გასაუბრების ეტაპზე მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს კომისიის დამსწრე წევრთა მიერ კანდიდატის ინდივიდუალურ შეფასებათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით არანაკლებ 3 ქულისა.

საკითხი შესათანხმებლად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების გრაფიკთან დაკავშირებით.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოსაცხადებელი კონკურსის გრაფიკის განსაზღვრის თაობაზე, კერძოდ:

1. კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა დასრულდეს განცხადების შეტანის ვადის ამოწურვიდან 7 დღეში.
2. კონკურსის მე-2 ეტაპი - ტესტირება დაიწყოს განცხადებების გადარჩევის დასრულებიდან არაუადრეს მე-3 დღისა;
3. კონკურსის მე-3 ეტაპი - გასაუბრება დაიწყოს ტესტირების დასრულებიდან არაუადრეს მესამე დღისა და ჩატარდეს ტესტირების დასრულებიდან (გასაუბრებას დაქვემდებარებულ კანდიდატთა რაოდენობიდან გამომდინარე) გონივრულ ვადაში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება. „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ტესტირების ეტაპის მონაწილის შედეგი ძალაშია 2016 წლის პირველ ივლისამდე. აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია იმ კონკურსანტების ტესტირების შედეგის გათვალისწინება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის მიერ გამოცხადებულ კონკურსის ტესტირების ეტაპზე და მათ მიერ მიღებული ქულების რაოდენობა აკმაყოფილებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა კონკურსის ტესტირების ეტაპისათვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს, გათვალისწინებული იქნეს იმ კანდიდატთა შედეგები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის მიერ გამოცხადებულ კონკურსის ტესტირების ეტაპზე და მათ მიერ მიღებული ქულების რაოდენობა აკმაყოფილებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა კონკურსის ტესტირების ეტაპისათვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსის პროგრამა ანუ ტესტირების დროს კონკურსანტისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტების ჩამონათვალი და მე-3 ეტაპის - გასაუბრების პროგრამა დადგენილია „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებით და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 24 სექტემბრის N888 ბრძანებით.

კომისიამ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინოს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმები დანართის შესაბამისად;

ბ) კომისიის გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის მე-2 ეტაპის - ტესტირების და მე-3 ეტაპის - გასაუბრების აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრის განსაზღვრის თაობაზე. კერძოდ, კონკურსის მე-2 ეტაპის - ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს კანდიდატის მიერ გაცემული სწორი პასუხების 66,5%-ით, ანუ 60 კითხვიდან არანაკლებ 40 სწორი პასუხისა, ხოლო კონკურსის მე-3 - გასაუბრების ეტაპზე მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს კომისიის დამსწრე წევრთა მიერ

კანდიდატის ინდივიდუალურ შეფასებათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით არანაკლებ 3 ქულისა;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების გრაფიკი.

2. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემოსული განცხადებების გადარჩევა (პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, საკვალიფიკაციო დოკუმენტების სრულად წარდგენის შემოწმება). საბუთების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი კონკურსში მონაწილეობას ვერ გააგრძელებს;

3. გათვალისწინებული იქნეს იმ კანდიდატთა შედეგები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის მიერ გამოცხადებულ კონკურსის ტესტირების ეტაპზე და მათ მიერ მიღებული ქულების რაოდენობა აკმაყოფილებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა კონკურსის ტესტირების ეტაპისათვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსის პროგრამა ანუ ტესტირების დროს კონკურსანტისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტების ჩამონათვალი და მე-3 ეტაპის - გასაუბრების პროგრამა დადგენილია „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებით და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 24 სექტემბრის N888 ბრძანებით.

კომისიამ ამოწურა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ვადასტურებთ ხელმოწერით:

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე რამინა ბერაძე

კომისიის წევრები:

დავით უთმელიძე

ზაზა ვეკუა

ვლადიმერ ძნელაძე

გოჩა ბაბუნაშვილი

თევდორე კობახიძე

შორენა ბუხრაშვილი

ლია ჯახველაძე

იოსებ მანჯავიძე

ელენე დუმბაძე

ელეონორა კაპანაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ლომსაძე

ნუგზარ ჭინჭარაული

ვლადიმერ ბოჟაძე